# 5 მაისი საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის დღეა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 87 (3064)
5 მაისი. ხუთშაბათი. 1966 წ.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

## საზეიმო სხდომა თბილისში

**გუშინ**, 4 მაისს, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა ბეჭდვითი სიტყვის დღისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც მოაწყეს საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები **პ. როდიონოვი, დ. სტურუა**, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, საქართველოს ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები, პოლიგრაფიული მრეწველობის ხელმძღვანელი მუშაკები.

საღამო გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა **ე. სალუქვაძემ**.

მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი **დ. მჭედლიშვილი**.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

## გუშინ...

**თბილისში**, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, შედგა საქართველოს ჩემპიონობაზე ა. ბუსლაევ — რ. ჯინჯიხაშვილის მატჩის VI პარტია. იგი გადაიდო პოზიციაში, სადაც ჯინჯიხაშვილს ზედმეტი პაიკი და მოგების შანსები აქვს. ჯერჯერობით ანგარიშია 3:2 ჯინჯიხაშვილის სასარგებლოდ.

## ჯილდოები ღირსეულთ

„კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა რაიონული საბჭოებისა და ფიზკულტურული კოლექტივების შარშანდელი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

პრეზიდიუმმა „კოლმეურნის“ ზუგდიდის რაისაბჭო (თავმჯდომარე შ. ჩანგელია), რომელმაც შეჯიბრებაში I ადგილი დაიკავა, „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშითა და საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

სიგელითა და სამახსოვრო ალმით დაჯილდოვდნენ: II ადგილზე გასული მახარაძის რაიონული საბჭო (თავმჯდომარე კ. გოგატაძე) და III ადგილზე გასული მესტიის რაიონული საბჭო (თავმჯდომარე ნ. გვარლიანი).

საკოლმეურნეო ფიზკულტურულ კოლექტივებში I ადგილი დაიკავა ქარელის რაიონის სოფელ დირბის კოლმეურნეობამ (ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე ო. კალმახელიძე). II ადგილზეა მახარაძის რაიონის სოფელ ცხემლისხიდის სასოფლო-სამეურნეო არტელი (ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე ა. ელიაძე), III — ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირის კოლმეურნეობა (ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე ლ. ბოჭორიშვილი).

საბჭოთა მეურნეობებში პირველობა მოიპოვა გარდაბნის რაიონის ავჭალის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურულმა კოლექტივმა (თავმჯდომარე ნ. კოტორაშვილი). II ადგილზეა ბათუმის რაიონის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივი (თავმჯდომარე ი. წულუკიძე), ხოლო III — წალკის მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივი (თავმჯდომარე ვ. აიდინოვი).

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში I ადგილი მიეკუთვნა ზუგდიდის ტექნიკუმის ფიზკულტურულ კოლექტივს (თავმჯდომარე გ. გვილავა). II ადგილზეა ამბროლაურის ტექნიკუმის ფიზკულტურული კოლექტივი (თავმჯდომარე მ. კობახიძე), ხოლო III — ბათუმის ტექნიკუმის ფიზკულტურელები (თავმჯდომარე ვ. ქვილორია).

I ადგილზე გასული ორგანიზაციები დაჯილდოვდნენ „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს საპატიო სიგელებით, სამახსოვრო ალმებით, 200 მანეთის ღირებულების სპორტინვენტარითა და სპორტტანსაცმლით. II ადგილებზე გასულთ გადაეცათ „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს საპატიო სიგელები, სამახსოვრო ალმები, 150 მანეთის ღირებულების სპორტინვენტარი და სპორტტანსაცმელი, ხოლო III ადგილების მფლობელნი დაჯილდოვდნენ „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს სიგელებით, სამახსოვრო ალმებით, 100 მანეთის ღირებულების სპორტინვენტარითა და სპორტტანსაცმლით.

**პ. გოგრიჭიანი,**
„კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგე.




XI პარტია

## სპასკის ამაო ცდა

**მოსკოვი**, 4 მაისი (**ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.**). დღეს საღამოს ესტრადის თეატრში გაიმართა პეტროსიან — სპასკის მატჩის XI პარტია.

ამ ორთაბრძოლაში პეტროსიანმა მეფის პაიკის წინსვლის საწინააღმდეგოდ პირველად გამოიყენა ფრანგული დაცვა. საინტერესოა, რომ თანამედროვე დიდოსტატებიდან ამ უძველესი დაცვის თაყვანისმცემლები მხოლოდ მ. ბოტვინიკი და ტ. პეტროსიანი დარჩნენ. სხვებმა მის უძლეველობაში დაკარგეს რწმენა.

მსოფლიო ჩემპიონმა უპრეტენზიოდ გაითამაშა დებიუტი, უარი თქვა რთულ სისტემებზე და თავიდანვე გააქარწყლა ცენტრში დაძაბულობა. წარსულში მუდამ ასე თამაშობდა ცნობილი დიდოსტატი ა. რუბინშტეინი, რომლის სახელსაც ეს სისტემა ატარებს. როგორც ჩანს, სპასკის არ აკმაყოფილებდა საყაიმო ტენდენციები, ამიტომ მან მე-13 და მე-14 სვლებით გამოააშკარავა თავისი აგრესიული ზრახვები.

გაჩაღდა დაძაბული ჭიდილი. სპასკიმ პაიკის შეწირვით განიზრახა ინიციატივის მიღება, მაგრამ იერიში უსწოროდ წარმართა. პეტროსიანმა თახდათან „დაცხრილა“ თეთრების შემტევი ფიგურები და ზედმეტი პაიკი შეინარჩუნა. მაშინ სპასკიმ თამაში ენდშპილში გადაიყვანა, სადაც შანსების გათანაბრების იმედი ჰქონდა...

აი, როგორ წარიმართა ეს პარტია:

**სპასკი — პეტროსიანი**

1. e4 e6 2. d4 d5 3. მc3 de 4. მ:e4 მd7 5. მf3 მgf6 6. მ:f6+ მ:f6 7. კg5 კe7 8. კd3 c5 9. dc ლa5+ 10. c3 ლ:c5 11. ლe2 კd7 12. მe5 კc6 13. h4 ეd8 14. 0—0—0 მd7 15. მ:c6 კ:g5+ 16. hg ლ:g5+ 17. მფc2 bc 18. ეh5 ლf4 19. კe4 ლc7 20. ლc4 c5 21. ლb5 g6 22. ეh4 0—0 23. ლc6 ლ:c6 24. კ:c6 მe5 25. ე:d8 ე:d8 26. კb5 პეტროსიანის წინადადებით მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

## ათასზე მეტი




მოსკოვი, 4 მაისი. „პრავდის“ კროსი, რომელმაც დიდი სპორტის საგზურები მისცა ცნობილ სპორტსმენებს ო. რაიკოს, ვ. კუდინსკისა და სხვებს, ხვალ გაიმართება დედაქალაქის იპოდრომზე. პროგრამაშია 1, 2, 3 და 8 კილომეტრზე რბენა.

რიცხვით მე-5 კროსის ფინალში გამოვა 1000-ზე მეტი სპორტსმენი. წლევანდელი კროსის დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ მოსკოვის, ლენინგრადის, მოკავშირე რესპუბლიკების სპორტსმენთა გვერდით გამოვლენ 60-ზე მეტი ქალაქისა და ყველა სასოფლო სპორტული საზოგადოების (გარდა საქართველოს „კოლმეურნისა“) წარმომადგენლები.

## კალენდარი ფართოვდება

ფხენიანი, 4 მაისი (საკდესი). აქ გაიმართა მეგობრული არმიების სპორტული კომიტეტის მე-10 პლენარული სხდომა, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთის, ვიეტნამის, გდრ-ის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის, პოლონეთის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციები.

კომიტეტის მონაწილეებმა დაამტკიცეს მომავალი წლების სამუშაო გეგმა, მეგობრული არმიების ჩემპიონატების, აგრეთვე, ფიზკულტურისა და სპორტის სხვადასხვა პრობლემაზე მეთოდური კონფერენციების კალენდარი და სხვ.

1967 წელში განზრახულია მოეწყოს 16 დიდი შეჯიბრება, — მეტი, ვიდრე რომელიმე ადრინდელ წელს.

სხდომამ მოიწონა სპორტული კომიტეტის ბიუროს საქმიანობა და მიიღო გადაწყვეტილება დატოვოს იგი ადრინდელი შემადგენლობით: თავმჯდომარე — პოლკოვნიკი კ. ჟაროვი (სსრ კავშირი), თავმჯდომარის მოადგილეები — პოლკოვნიკი კ. მალჩევსკი (პოლონეთი) და ხან ფუ-დუნი (ჩინეთი), კომიტეტის წევრები — პოლკოვნიკი მ. პანდელე (რუმინეთი) და პოდპოლკოვნიკი ვ. ჩერნოხი (ჩეხოსლოვაკია).

## ახალი ამბები

● **ბუენოს-აირესი**, 4 მაისი. ჩილეში გამოსვლის შემდეგ სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ლათინურ ამერიკაში დაიწყო ტურნე. არგენტინის დედაქალაქში გამართულ პირველ მატჩში საბჭოთა სპორტსმენებმა დაამარცხეს ეროვნული ნაკრები — 81:50 (31:14). საბჭოთა კალათბურთელები გამოვლენ აგრეთვე ურუგვაისა და 1968 წლის ოლიმპიადის ქვეყანაში — მექსიკაში.

● **ლონდონი**, 4 მაისი. შეიძლება ისე მოხდეს, რომ მსოფლიო ჩემპიონი ფეხბურთში გაარკვიოს... კენჭისყრამ. თუ 30 ივლისს „უემბლის“ სტადიონზე ფინალური მატჩი ფრედ დამთავრდება, მაშინ 2 აგვისტოს გაიმართება განმეორებითი შეხვედრა და თუ ამ თამაშის ძირითადი და დამატებითი დროც ფრედ ალინიშნა, მაშინ „ოქროს ქალღმერთის“ ახალ მფლობელს კენჭისყრა გამოავლენს.

● **მოსკოვი**, 4 მაისი. ფინეთში გაემგზავრა სსრ კავშირის ტანმოვარჯიშე ვაჟთა ნაკრები. 5-7 მაისს ჩვენები ფინელ სპორტსმენებს შეეჯიბრებიან, ხოლო 13-15 მაისს გფრ-ში ადგილობრივ ტანმოვარჯიშეებს შეხვდებიან. საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში არიან ს. დიამიდოვი, მ. ვორონინი, ვ. ლეონტიევი, ვ. კერდემელიდი, ი. ტიტოვი, ბ. შახლინი და სათადარიგო ვ. კარასევი.

● **რომი**, 4 მაისი. იტალიის ორ ქალაქში გაიმართა კალათბურთელ ქალთა გუნდების საკვალიფიკაციო ტურნირი ევროპის ჩემპიონატის საგზურებისთვის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ იტალიის, უნგრეთისა და შვეიცარიის სპორტსმენები. მასპინძლებმა სძლიეს უნგრელებს — 57:31 (22:13) და შვეიცარიელებს — 66:16 (28:5). უნგრელებმა მოუგეს შვეიცარიელებს — 71:45 (30:16) და ისინიც ფინალში გავიდნენ.

● **დევისის** თასის ევროპული ზონის ჩოგბურთელთა გუნდების I წრის შეხვედრათა შედეგები ასეთია: შვეიცარია — ლუქსემბურგი 5:0, ბრაზილია — დანია 5:0, არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა — ბელგია 5:0, ჩეხოსლოვაკია — ავსტრია 5:0, გფრ — ნორვეგია 5:0, უნგრეთი — საბერძნეთი 4:1, საფრანგეთი — რუმინეთი 4:1, დიდი ბრიტანეთი — ახალი ზელანდია 4:1, კანადა — ფინეთი 4:1, ესპანეთი — იუგოსლავია 4:1, პოლონეთი—შვეცია 3:2, ისრაელი — პორტუგალია 3:2.

◆ **რომი**, 4 მაისი. იტალიის ღია ჩემპიონატში წარმატებით გამოვიდა საბჭოთა ჩოგბურთელი თ. ლეიუსი. მან მოუგო იტალიელ ე. დე მათეოს—6:4, 6:1, 7:5. მოულოდნელი იყო ერთ-ერთი ფავორიტის — ავსტრალიელი კ. ფლეტჩერის მარცხი. მან პირველივე წრეში დაყარა ფარ-ხმალი ფრანგ ჟ. გოვენთან — 4:6, 6:3, 3:6, 1:6.

◆ **პლზენი**, 4 მაისი. მეგობრული არმიების აქ მიმდინარე სპარტაკიადაში საბჭოთა სნაიპერებმა 50 ქულით აჯობეს უახლოეს მეტოქეებს — პოლონელებს ნებისმიერი შაშხანით სამი მდგომარეობიდან გუნდურ სროლაში. საბჭოთა გუნდმა 2251 ქულა დააგროვა. მისმა წარმომადგენლებმა პირად ჩათვლაშიც იმარჯვეს — პირველი სამი ადგილი დაიკავეს.

◆ **ლიუბლიანა**, 4 მაისი. აქ გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება წრიულ ბილიკზე მოტორბოლაში. სტარტზე გამოვიდნენ ბულგარეთის, სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის სპორტსმენები. ყველას აჯობა საბჭოთა მოტოციკლისტმა ე. ტროფიმოვმა.

◆ **ბუქარესტი**, 4 მაისი. საინტერესო ბრძოლით ხასიათდება აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. VIII ტურში ლენინგრადელმა დიდოსტატმა ვ. კორჩნოიმ დაამარცხა ერთ-ერთი მთავარი მეტოქე — პოლონელი ბ. ბედნარსკი და ლიდერობა იგდო ხელთ. ახლა კორჩნოის, ბედნარსკის და რუმინეთის ჩემპიონს ფ. გეორგიუს 6-6 ქულა აქვთ, ოღონდ ლენინგრადელი თავის კონკურენტებს 1 ნათამაშევი პარტიით „ჩამორჩება“.

ამას წინათ თბილისში, ვაკე—საბურთალოს გზაზე გაიმართა სსრ კავშირის უძლიერეს ავტომობილისტთა საინტერესო შეჯიბრება ჩვენი ქვეყნის ნაკრების კანდიდატთა გამოსავლენად. ყველა კლასის მანქანებით რბოლაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

სურათზე: შეჯიბრების ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



ანგარიშგება-არჩევნები

# მიზანი: სპარტაკიადა

სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის მზადების ნიშნით ჩატარდა თბილისის სპორტკავშირის IV კონფერენცია.

სპორტკავშირის თავმჯდომარემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. რცხილაძემ საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა, რომ წინა კონფერენციის შემდეგ განვლილი 2 წლის მანძილზე თბილისის ფიზკულტურულ კოლექტივებსა და სპორტსმენებს ძალა არ დაუშურებიათ ქალაქის, საქართველოსა და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებისთვის რაც შეიძლება უკეთ მოსამზადებლად. ფიზკულტურელთა რიცხვი 60 ათასით გაიზარდა და ახლა 195 ათასს აღწევს. თბილისელმა სპორტსმენებმა საკავშირო, ევროპისა და მსოფლიო პირველობებში ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს 130 მედალი მოიპოვეს. 60 ათლეტმა სსრ კავშირის ნაკრებში დაიმკვიდრა ადგილი. გადაჭარბებით შესრულდა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმა. საანგარიშო პერიოდში მომზადდა 350 სპორტის ოსტატი.

თბილისმა ზედიზედ ორჯერ გაიმარჯვა მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობის უკეთ დაყენებისთვის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს გარდამავალი დროშა მოიპოვა.

— სსრ კავშირში პირველად თბილისში შეიქმნა საცხოვრებელი მასივების ჯანმრთელობის სახალხო კლუბი, — თქვა მომხსენებელმა. — მისი ინიციატორები არიან: დიღმის მასივში — ი. კიზირია, III მასივში — შ. კაკაურიძე. შემდეგ მათ მაგალითს თბილისის დელისის მასივსა და ქუთაისის ავტოქარხნის დასახლებაშიც მიბაძეს.

კარგად მუშაობენ კიროვის სახელობის ჩარხსაშენი ქარხნის (სპორტკლუბი „გამარჯვება“), სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის („ფეიქარი“), საქალაქო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს („სინათლე“), რკინიგზის თბილისის კვანძის („ელმავალი“), სპორტკლუბ „განთიადის“, ფეხსაცმლის საწარმო გაერთიანება „ისნის“, ავჭალის მუშის ქარხნის, უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური ინსტიტუტის, პოლიტექნიკური, მანქანათმშენებელი და მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმების, მე-6, მე-11, 31-ე, 35-ე პროფტექსასწავლებლების, მე-15, 43-ე, 49-ე, 52-ე, 57-ე, 58-ე, 66-ე, 77-ე, მე-80, 109-ე საშუალო სკოლების ფიზკულტურული კოლექტივები.

საერთო წარმატებაში ფიზკულტურულ კოლექტივებთან და სპორტსმენებთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვით კვალიფიციურ მწვრთნელებს, მასწავლებლებს, რომლებიც განსაკუთრებით აქტიურობენ ახლა, სპარტაკიადებისთვის მზადების პერიოდში.

— მაგრამ, — განაგრძობს გ. რცხილაძე, — მნიშვნელოვანი წინსვლის მიუხედავად, ჯერ კიდევ ვერ შევძელით მთლიანად გამოგვევლინებინა ჩვენი ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების შესაძლებლობანი. თბილისის რაიონების კონფერენციებზე ფიზკულტურული კოლექტივების, გუნდების, სპორტული ბაზების საქმიანობის ბევრი ნაკლოვანება აღინიშნა.

1-ლი მაისის რაიონში ცუდად მუშაობენ კალინინის სახელობის ქარხნის, საავთიაქო სამმართველოს, ავეჯის მე-6 ფაბრიკის, მე-17, 101-ე, 130-ე საშუალო სკოლების ფიზკულტურული კოლექტივები, საწარმოო ტანვარჯიშს სათანადო ყურადღება არ ექცევა პურის № 1 კომბინატში და პირველ სტამბაში.

ლენინის რაიონის მე-4 მუსიკალური (დირექტორი ქ. ჯიქია, ფიზაღზრდის მასწავლებელი უ. ღონღაძე) და მე-8 (ქ. ნახუცრიშვილი, გ. ოსიძე) საშუალო სკოლებში შარშან არც ერთი თანრიგოსანი და მშთ ნიშნოსანი არ მოუმზადებიათ, 112-ე სკოლას ორი წელია ახალი შენობა გადაეცა, მაგრამ სპორტდარბაზში ელექტროგანათების მოწყობა დღემდე არ დაუმთავრებიათ (!). სკოლის დირექტორს მ. გოგუაძეს, როგორც ჩანს, ფიზკულტურა მეორეხარისხოვან საქმედ მიუჩნევია და ამიტომაც, გასახდელები მუსიკალური სკოლის კლასებად გადაუქცევია. ქარხანა „გაზოაპარატში“ ფიზკულტურის მეთოდისტის შტატი გააუქმეს. „ლოკომოტივის“ საბჭომ განიზრახა აეგო საცურაო აუზი და კომპლექსური შენობა, რომელსაც 3 სპორტდარბაზი ექნება, მაგრამ ლენინის რაიონში ამისთვის მიწის ნაკვეთი ვერსად გამოძებნეს (!).

პარტიის ოქტომბრის რაიკომის გადაწყვეტილებით რაიაღმასკომს კარგა ხანია დაევალა გამოენახა სახსრები კიევის ქუჩა № 4-ში მდებარე სპორტული მოედნების რეკონსტრუქციისა და 37-ე სკოლის მოედნებზე განათების მოწყობისთვის, მაგრამ გადაწყვეტილება არ შესრულებულა. ეს მოედნები კი რაიონის ბავშვთა სპორტსკოლის ძირითადი სამეცადინო ბაზაა.

სპორტული ბაზების სიმცირეს ყველაზე მეტად კალინინის რაიონი განიცდის. მაგრამ რაც აქვთ, იმასაც ვერ უვლიან. მაგალითად, კომუნარების ბაღში კალათბურთის მოედანი კარგა ხანია უქმად ცდება. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ რაისაბჭომ მისი შეკეთების ნაცვლად... გასახდელები დაანგრია და ეს ადგილი გამწვანების კანტორას გადასცა.

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა სპარტაკიადის პროგრამაში შეტანილ იმ სახეობებზე, რომლებშიც ჩვენს გუნდებს საქმე კარგად ვერ აქვთ. იგი განსაკუთრებით ვრცლად შეჩერდა მძლეოსნობის, ტანვარჯიშის, ცურვის, ჭიდაობის, კალათბურთის, ფრენბურთის, კრივის, ხუთჭიდის, ძალოსნობისა და ზოგიერთი სხვა სახეობის პერსპექტივებზე, აღნიშნა, რომ ამ სახეობათა განვითარებას სკოლებში მათი ცუდად სწავლება აფერხებს. ბევრ ფიზკულტურულ კოლექტივს არ აქვს მძლეოსნობაში სამეცადინო ბაზა და ინვენტარი. საშუალო სკოლების მასწავლებლები თავს არ იწუხებენ, რომ ბავშვებს ელემენტარული ტექნიკა მაინც გამოუმუშაონ. ამიტომაც გვიჭირს მოსწავლეთა გუნდის სრულფასოვანი კადრებით დაკომპლექტება გოგონების 100 და 400 მეტრზე რბენაში, სიგრძეზე ხტომაში, ბიჭების 200 მეტრზე თარჯრბენში, სიმაღლეზე ხტომაში, სამხტომში, ბადროსა და უროს ტყორცნაში, ქალთა სიმაღლეზე ხტომაში, შუბის ტყორცნაში, 400 და 800 მეტრზე რბენაში, ვაჟთა 400 მეტრზე თარჯრბენში, უროს ტყორცნაში, 3.000 მეტრზე წინაღობებით, 5.000 და 10.000 მეტრზე რბენაში.

— ცურვა თბილისში მასობრივადაა განვითარებული, — განაგრძო მომხსენებელმა, — მაგრამ რეკორდების ცხრილში ჯერ კიდევ მრავალია I თანრიგის მაჩვენებელი. ბევრი აუზი არ თბება, შეუწყნარებლად გაჭიანურდა „განთიადის“ აუზის რეკონსტრუქცია, რამდენიმე წელია წესრიგზე ვერ მოიყვანეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის აუზი და სხვ. ცოტაა საჭიდაო დარბაზი, ცუდადაა ფრენბურთში რეზერვების საქმე.

კონფერენციას სარევიზიო კომისიის ანგარიში გააცნო რ. ქებაძემ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: აგიტაცია-პროპაგანდის საქალაქო ფედერაციის თავმჯდომარემ მ. ბაბუნაშვილმა, ოქტომბრის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარემ გ. მეგრელიძემ, კალათბურთის საქალაქო ფედერაციის თავმჯდომარემ ნ. ჯორჯიკიამ, კომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივანმა ც. ქოჩეჩაშვილმა, საქართველოსა და სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა გუნდების უფროსმა მწვრთნელმა გ. შარაშიძემ, „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბოჭორიძემ, უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის დირექტორმა ნ. დუმბაძემ, 23-ე საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა მ. მჭედლიშვილმა, ქალაქის მთავარმა არქიტექტორმა ი. ჩხენკელმა და საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. სიხარულიძემ.

— ეს-ეს არის მოსკოვიდან მივიღეთ დეპეშა, რომ შარშან მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისთვის თბილისის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს ეკავამედ მიეკუთვნა სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს გარდამავალი დროშა, — ასე დაიწყო სიტყვა გ. სიხარულიძემ. — ეს დედაქალაქის ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს ავალებს უფრო მეტი მონდომებით იმუშაონ ამ მაღალი ჯილდოს შენარჩუნებისა და სპარტაკიადაში წარმატებით გამოსვლისთვის. ახლა მით უფრო საჭიროა თამამად გავუსწოროთ თვალი ნაკლოვანებებს და მათი აღმოფხვრის გზებიც დავსახოთ.

გ. სიხარულიძემ აღნიშნა, მაგალითად, რომ ქალაქში არ ეწყობა მასობრივი შეჯიბრებები, ღია ტურნირები, დანერგილი არ არის ეროვნული სახეობები. დღემდე ვერ დამყარდა მტკიცე კავშირი საქალაქო სპორტკავშირსა და სპორტსაზოგადოებებს შორის. მან ილაპარაკა, აგრეთვე, სპორტბაზების მდგომარეობაზე.

კონფერენციამ თბილისის სპორტკავშირის მუშაობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად, მიიღო დადგენილება და აირჩია სპორტკავშირის საბჭოს წევრები, წევრობის კანდიდატები, სარევიზიო კომისია და საქართველოს სპორტკავშირის III კონფერენციის დელეგატები.

* * *

გაიმართა თბილისის სპორტკავშირის ახალარჩეული საბჭოს I პლენუმი. თბილისის სპორტკავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია გ. რცხილაძე, მოადგილეებად — მ. გიგელია (გათავისუფლებული) და კომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივანი ც. ქოჩეჩაშვილი.

## გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია

ახლახან ჩატარდა „კოლმეურნის“ აჭარის საოლქო საბჭოს VIII კონფერენცია.

მომხსენებელმა — „კოლმეურნის“ აჭარის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ თ. ბოლქვაძემ და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ მუშაობაზე და განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს სკკპ XXIII ყრილობის დადგენილებათა შესრულების საკითხებზე.

— საანგარიშო პერიოდში, — თქვა მომხსენებელმა, — ჩვენი საზოგადოების რიგები საგრძნობლად გაფართოვდა, ახლა იგი 25 ათასზე მეტ წევრს აერთიანებს

სულ უფრო და უფრო მაღლდება სოფლის სპორტსმენთა ოსტატობა. აჭარის ფრენბურთელები, მოჭიდავეები, ველოსიპედისტები, მძლეოსნები წარმატებით იცავენ საზოგადოების ღირსებას რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში.

კონფერენციის დელეგატებმა, ქობულეთისა და ბათუმის „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარეებმა ო. ლეჟავამ და ვ. ჭყონიამ აღნიშნეს, რომ სოფლად გაიზარდა კვალიფიციური სპორტსმენების, საზოგადოებრივი ინსტრუქტორებისა და მწვრთნელების რიცხვი, შენდება კეთილმოწყობილი სპორტული ბაზები.

მაგრამ ბაზების ქსელის გაფართოებისა და კეთილმოწყობისათვის ყველგან როდი ზრუნავენ. განა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შეუფასებლობით არ აიხსნება, რომ ქობულეთის რაიონის სოფლების — ქაქუთისა და წყავროკის კოლმეურნეობებში ახალგაზრდების ძალებით მოწყობილი სპორტული მოედნები აღნიშნული არტელების ხელმძღვანელებმა სხვა მიზნებისთვის გამოიყენეს?

სპორტმოედნები მოუწყობელია შუახევის, ქობულეთის, ბათუმისა და ხულოს რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში. ხულოში ფეხბურთის ერთადერთი მინდორი საქონლის სათარეშოდ იქცა (რაისპორტკავშირის თავმჯდომარე ნ. მელაძე, „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარე რ. აბულაძე).

კონფერენციამ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სპორტის ეროვნულ სახეობათა განვითარებაზე. აღინიშნა, მაგალითად, რომ აჭარის ცხენოსნები წარმატებით გამოდიოდნენ საქართველოს პირველობებში, ახლა კი ეს სახეობა დავიწყებას მიეცა.

სოფლად მასობრივ-ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი მუშაობის, საზოგადოებრივი კადრების მომზადების, სპორტულ ნაგებობათა ქსელის გაფართოების, ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში მეტი ქალის ჩაბმის შესახებ ილაპარაკეს აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ა. ანანიძემ, აჭარის ასსრ სპორტკავშირის თავმჯდომარემ შ. მჟავანაძემ, „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ვ. გოგრიჭიანმა, კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ დ. დავითაძემ, სპორტის ოსტატმა ვ. გაროზაშვილმა და სხვ.

კონფერენციამ მიიღო დადგენილება სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესების საკითხებზე და აირჩია „კოლმეურნის“ საოლქო საბჭოს ახალი შემადგენლობა. პრეზიდიუმის თავმჯდომარედ კვლავ თ. ბოლქვაძეა არჩეული.

**ო. მურვანიძე.**
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

## ცნობები სამტრედიიდან

ადგილობრივი სკოლების პიონერული რაზმეულების კალათბურთელთა გუნდების ჩემპიონატი ერთ კვირას გაგრძელდა. ამგვარი შეჯიბრება პირველად ჩატარდა და დიდი ინტერესი გამოიწვია, ვინაიდან გამარჯვებული კოლექტივი რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლებას იხვეჭდა.

ყველას აჯობა სამტრედიის რკინიგზის მე-4 საშუალო სკოლის ნაკრებმა.

* * *

აქ ერთმანეთს შეხვდნენ სამტრედიისა და ახალციხის რაიონების მოსწავლე გოგონათა ნაკრები გუნდები ხელბურთში. მატჩი საქართველოს მოსწავლეთა XVIII რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამაში შედიოდა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 4:3.

სამტრედიისა და ამბროლაურის რაიონების ჭაბუკ ხელბურთელთა შეხვედრაშიც მასპინძლებმა იმარჯვეს — 24:9.

* * *

თვეზე მეტს მიმდინარეობდა რაიონის სოფლის რვაწლიანი სკოლების მოსწავლეთა შეჯიბრებები შაშში, ფრენბურთსა და მძლეოსნობაში.

შაშში I ადგილზე გავიდა ნიგორხევის სკოლის გუნდი, ხოლო მძლეოსნობასა და ფრენბურთში (როგორც ჭაბუკებში, ისე გოგონებში) — სკოლა-ინტერნატის წარმომადგენლები.

**გ. ჩაისურაძე.**



ხელბურთის თამაში ფოთელებმა ამ ხუთიოდე წლის წინათ იხილეს, როცა მათს ქალაქში საქართველოს პირველობა ტარდებოდა. მას შემდეგ აქაურმა ჭაბუკებმა შეიყვარეს სპორტის ეს სახეობა და გატაცებით ეუფლებიან მას. ახლა ფოთის ბავშვთა სპორტსკოლაში ხელბურთის სექციებიც საქმიანობენ.

სურათზე: ფოთის ბავშვთა სპორტსკოლის ხელბურთელები ვარჯიშის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

## ოპერატიული ინფორმაცია

### თბილისი

კიროვის რაიონის მაგიდის ჩოგბურთელთა პირველობაში მონაწილეობდა საწარმო-დაწესებულებათა 15 გუნდის 63 წარმომადგენელი. I ადგილი დაიკავეს კრწანისის წინდების ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა.

**ი. ხაბეიშვილი.**

### ზუგდიდი

გაიმართა „კოლმეურნის“ რაისაბჭოს პირველობა მძლეოსნობაში. ასპარეზობაში, რომელშიც მონაწილეობდა 100-მდე ათლეტი, გუნდური პირველობა მოიგო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ნაკრებმა. 100 მეტრზე ვაჟთა რბენაში ყველას აჯობა კ. ახალაიამ (ინგირის კოლმეურნეობა), ხოლო ქალებში — მ. ფიფიამ (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი). 200 მეტრზე ვაჟთა რბენაში გაიმარჯვა რ. ბუკიამ (რუხის კოლმეურნეობა „საქართველო“), ქალებში კი — ი. ძაძამიამ (ჭკადუაშის კოლმეურნეობა). 800 და 1.500 მეტრი ყველაზე სწრაფად ირბინა ე. ოთხოზორიამ (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი).

**ბ. ალშიბაია.**

### ჭიათურა

ქალაქის ბაზებზე ჩატარდა მოსწავლეთა XVIII რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება კალათბურთში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თეთრი წყაროს, თელავის, რუსთავის, ხაშურისა და ჭიათურის გუნდები. როგორც გოგონებში, ისე ჭაბუკებში გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

**მ. ლაბაძე,**
მე-4 საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი.

### გულრიფში

საინტერესოდ წარიმართა რაიონის მოსწავლე-ფრენბურთელთა შეჯიბრება, რომელიც ადგილობრივი საშუალო სკოლის მოედანზე ჩატარდა. ჭაბუკებში უძლიერესი იყო ბაგიფოსტის სომხური საშუალო სკოლის გუნდი, გოგონებში კი პირველობა დრანდის რუსული საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა მოიხვეჭეს.

**შ. ჯალაღონია.**

## „აღვადგინოთ კარგი ტრადიცია“

## «ლელო» წერილის კვალდაკვალ

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 8 აპრილის ნომერში დაბეჭდილ წერილში ლაპარაკი იყო, რომ თავისი მოჭიდავეებითა და საჭიდაო ტრადიციით ოდესღაც განთქმულ ზესტაფონში ბოლო წლებში ეს სახეობა დაივიწყეს და დღეს იქ იშვიათად ნახავთ ქართული ჭიდაობის მოქმედ სარბიელს.

როგორც საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის მდივანი შ. ვერულაშვილი გვატყობინებს, მიღებულია ზომები წერილში აღნიშნული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად. გამოყოფილია კვალიფიციური მწვრთნელი, შემუშავებულია გრაფიკი ქართულ ჭიდაობაში საწვრთნელ მეცადინეობათა და შეჯიბრებების რეგულარულად ჩატარებისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელზე გამოდის სტუდენტობა

8 მაისს თბილისში სტარტს აიღებს საქართველოს სტუდენტთა V ტრადიციული თამაშები. ამ საინტერესო ასპარეზობას მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან სწორედ მან უნდა გამოავლინოს უძლიერესი სპორტსმენები და კოლექტივები, რომელთაც შემდეგ სტუდენტთა საკავშირო თამაშებში მოუხდებათ რესპუბლიკის სახელის დაცვა.

წლევანდელი შეჯიბრების პროგრამაშია 20 სახეობა. 18 უმაღლესი სასწავლებლის 8000-მდე სპორტსმენისგან შემდგარი გუნდები ხიძლიერის მიხედვით დაყოფილი არიან სამ ჯგუფად.

I ჯგუფში გამოვლენ უნივერსიტეტის, საქართველოს პოლიტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო, ფიზკულტურის, თბილისისა და გორის პედაგოგიური ინსტიტუტების წარმომადგენლები. I ჯგუფის საერთო ჩათვლაში შედის ოცივე სახეობა.

II ჯგუფში არიან თბილისის სამედიცინო, სოხუმის სუბტროპიკული, თბილისის უცხო ენების, ბათუმის, ქუთაისისა და სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტების სპორტსმენები. აქ ჩათვლაში შედის 12 სახეობა (არჩევით).

III ჯგუფში იბრძოლებენ საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის, სამხატვრო აკადემიის, კონსერვატორიის, თეატრალური, თელავისა და ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტების კოლექტივები. ჩათვლაში შედის 8 სახეობა (არჩევით).

## თამაშების კალენდარი

| სპორტის სახეობა | თარიღი | შეჯიბრების ადგილი |
|---|---|---|
| აკრობატიკა | 14-15 მაისი | ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტდარბაზი. |
| კალათბურთი | 8-12 მაისი | კიროვის სახ. პარკის კალათბურთის სტადიონი. |
| კრივი | 8-9 მაისი | უნივერსიტეტის სპორტდარბაზი. |
| თავისუფალი ჭიდაობა | 10-12 მაისი | ლენინის სახ. სპორტდარბაზი. |
| კლასიკური ჭიდაობა | 8-9 მაისი | ლენინის სახ. სპორტდარბაზი. |
| ფრენბურთი | 18-21 მაისი | ფიზკულტურის ინსტიტუტის მოედნები. |
| წყალბურთი | 10-14 მაისი | „განთიადის" საცურაო აუზი. |
| ველოსპორტი (ტრეკი) | 13-15 მაისი | ველოსტადიონი. |
| ველოსპორტი (გზატკეცილი) | 8-11 მაისი | საქართველოს სამხედრო გზა. |
| სპორტული ტანვარჯიში | 14-16 მაისი | ცენტრალური სპორტსკოლის დარბაზი. |
| მხატვრული ტანვარჯიში | 8-9 მაისი | „ბურევესტნიკის" სპორტდარბაზი. |
| ცურვა | 13-15 მაისი | „განთიადის" საცურაო აუზი. |
| ხელბურთი | 13-17 მაისი | კიროვის სახ. პარკის კალათბურთის სტადიონი. |
| ტყვიის სროლა | 13-16 მაისი | დოსააფის ტირი. |
| მძლეოსნობა | 13-15 მაისი | „ბურევესტნიკის" სტადიონი. |
| ჩოგბურთი | 8-10 მაისი | კორტები მარჯანიშვილის ქუჩაზე. |
| მაგიდის ჩოგბურთი | 13-17 მაისი | „ბურევესტნიკის" სპორტდარბაზი. |
| ძალოსნობა | 8-10 მაისი | უნივერსიტეტის ძალოსნობის დარბაზი. |
| ფარიკაობა | 18-21 მაისი | „ბურევესტნიკის" სპორტდარბაზი. |
| ჭადრაკი | 8-12 მაისი | „ბურევესტნიკის" საჭადრაკო კლუბი. |

# პირველი გაბედული ნაბიჯი

თბილისში დამთავრდა საქართველოს ქალაქებისა და სოფლების პროფტექგანათლების სასწავლებლების II სპარტაკიადა, რომელიც ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნა. ასპარეზობაში მონაწილეობდა თბილისის, ქუთაისის, გორის, გარდაბნის, ველისციხის, სურამის, ხიდისთავისა და ნოჯისხევის 14 ფიზკულტურული კოლექტივი.

გუნდების ტექნიკური მომზადება ვერ იყო მაღალი, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს, ფაქტიურად, მოსწავლეთა პირველი ნაბიჯი იყო სპორტში: პირველი ამგვარი სპარტაკიადა 5 წლის უკან მოეწყო და, ცხადია, მაშინდელი ასპარეზობის მონაწილეებმა კარგა ხანია მუშათა კადრებს მისცეს შევსება.

უკეთესი იქნებოდა, ამ ტიპის სპარტაკიადები ყოველწლიურად გამართულიყო. ეს გაზრდიდა სპორტსმენთა დაინტერესებასაც და შედეგებსაც.

მძლეოსანთა ტურნირი „შრომითი რეზერვების" სტადიონზე გაიმართა. ქალებში უძლიერესნი იყვნენ: 100 მეტრზე რბენაში — მ. ბლიაძე (თბილისის 34-ე სასწავლებელი) — 13,6, 400 და 800 მეტრზე — ე. პოგრებნიაკი (გორის 39-ე სასწავლებელი), ბადროს ტყორცნაში — მისი თანაგუნდელი ნ. ნაზღაიძე — 30,30 მ და სხვ.

ვაჟებში პირველობა მოიპოვეს: 100 მეტრზე რბენაში — მ. პიციკმა — 11,8, 800 და 1500 მეტრზე — ა. ვერიგინმა — 2.16,8 და 4.44,3, ხელყუმბარის ტყორცნაში — ვ. მთიულიშვილმა (ყველანი — გარდაბნის მე-10 სასწავლებელი) — 57,50 მ, სიგრძეზე ხტომაში — მ. ელუაშვილმა—564 სმ, ბირთვის კვრაში — ნ. მახარაძემ (ორივენი — ქუთაისის 33-ე სასწავლებელი) — 11,35, 200 მეტრზე რბენაში— ნ. მამიაშვილმა (სურამის მე-14 სასწავლებელი) — 25,2 და სხვ. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს სურამის ვაჟთა და გორის ქალთა კოლექტივებმა.

ფრენბურთელ ვაჟთა ასპარეზობა ოლიმპიური სისტემით ჩატარდა. ფინალში ითამაშეს ველისციხისა და გარდაბნის გუნდებმა. გაიმარჯვეს ველისციხელებმა — 2:1. ქალთა ტურნირში, რომელიც წრიული სისტემით მოეწყო, ჩემპიონობა თბილისის 36-ე სასწავლებლის კოლექტივმა მოიპოვა.

ველოსიპედისტთა შეჯიბრება რუსთავის გზატკეცილზე გაიმართა. ქალთა რბოლა დაყოფილი სტარტით 10 კილომეტრზე და საერთო სტარტით 15 კილომეტრზე მოიგო თბილისის 36-ე სასწავლებლის მოსწავლემ რ. ჯაბანიშვილმა — 16.30,0 და 22.25,0. ორივე დისტანციაზე II იყო მისი თანაგუნდელი თ. თოფურია. ვაჟები ასპარეზობდნენ 20 და 25 კილომეტრზე. დაყოფილი სტარტით 20 კილომეტრზე რბოლაში ჩემპიონი გახდა ვ. ტოროლაშვილი (თბილისის 26-ე სასწავლებელი), ხოლო 25 კილომეტრზე კროსი მოიგო გარდაბნელმა ა. ლუჩკოვმა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ვაჟებში უძლიერესი აღმოჩნდა გარდაბნის, ხოლო ქალებში — გორის ნაკრები გუნდები.

ვ. ბუკია.



• • •

სურათზე: გორელი ე. პოგრებნიაკი 800 მეტრზე რბენის დროს.

ფოტო ავტორისა.

## გადამწყვეტ პარტიაში

ლენინგრადი (ჩვენი კორ.). აქაურმა მეტალურგებმა სტუმრად მოიწვიეს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ფრენბურთელთა გუნდი. სტუმარ-მასპინძელთა შეჯიბრება ძალიან საინტერესო გამოდგა. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 3:2.

**ფრენბურთი**

განსაკუთრებით კარგად ითამაშეს რუსთავის ქარხნის ელექტროშემკეთებელი საამქროს ელექტროზეინკალმა ვ. კუხტინოვმა და ავტომატიზაციისა და მექანიზაციის ცენტრალური ლაბორატორიის მუშამ ვ. ნადირაძემ.

•

## სასარგებლო სემინარი

თბილისის სკოლების ფიზაღზრდის მასწავლებელთათვის საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ ამას წინათ ორდღიანი სემინარი ჩაატარა. ხელბურთის თამაშის წესების, ტაქტიკის, ტექნიკისა და მსაჯობის საკითხებზე შეკრებილთ ესაუბრნენ თბილისის „ბურევესტნიკისა" და სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელი გ. შარაშიძე და „ბურევესტნიკისა" და ჩვენი ქვეყნის ნაკრების მეკარე ჯ. აბაიშვილი.

სემინარმა ფიზაღზრდის მასწავლებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

გ. ირინაული.

## ფეხბურთი

### „ა" კლასი II ჯგუფი

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 3 მაისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ყუბანი" (კრასნოდარი) | 5 | 4 | 1 | 0 | 12—1 | 9 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 5 | 3 | 1 | 1 | 5—1 | 7 |
| „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) | 4 | 2 | 2 | 0 | 4—1 | 6 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 5 | 1 | 4 | 0 | 5—3 | 6 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 5 | 2 | 2 | 1 | 3—2 | 6 |
| „თერგი" (გროზნო) | 5 | 2 | 2 | 1 | 4—4 | 6 |
| „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) | 5 | 2 | 2 | 1 | 3—3 | 6 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 5 | 1 | 3 | 1 | 7—5 | 5 |
| „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 5 | 2 | 1 | 2 | 5—3 | 5 |
| „დინამო" (ბათუმი) | 4 | 2 | 1 | 1 | 3—2 | 5 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 4 | 2 | 1 | 1 | 3—3 | 5 |
| „როსტსელმაში" (როსტოვი) | 5 | 1 | 2 | 2 | 3—5 | 4 |
| „დაუგავა" (რიგა) | 5 | 0 | 3 | 2 | 4—6 | 3 |
| „სპარტაკი" (ნალჩიკი) | 5 | 1 | 1 | 3 | 4—9 | 3 |
| „ბალტიკა" (კალინინგრადი) | 5 | 0 | 2 | 3 | 2—8 | 2 |
| „დინამო" (ტალინი) | 4 | 0 | 1 | 3 | 1—6 | 1 |
| „სპარტაკი" (გომელი) | 4 | 0 | 1 | 3 | 1—7 | 1 |

### რესპუბლიკის ჩემპიონატი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

● „განთიადი" (ბორჯომი) — „სინათლე" (თბილისი) 0:2. მსაჯი ი. რუსეიშვილი (ბათუმი).

● „ოდიში" (ზუგდიდი) — „მესხეთი" (ახალციხე) 0:2. მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).

ტერიტორიული უპირატესობა დასაწყისში მასპინძლებს ჰქონდათ, მაგრამ ამაოდ. შესვენების შემდეგ ახალციხელებმა საფუძვლიანად გარდაქმნეს თამაში და გამარჯვებასაც მიაღწიეს.

● „მალაროელი" (ჭიათურა) — „დინამო" I (თბილისი) 3:2. მსაჯი ო. მურვანიძე (ბათუმი).

● „ფეიქარი" (წულუკიძე) — „ირისტონი" (ცხინვალი) 3:1. მსაჯი ა. კილაძე (თბილისი).

● „ქართლი" (გორი) — „ისანი" (თბილისი) 1:0. მსაჯი გ. აბაზაძე (თბილისი).

გორელებს პირველ ტაიმში საგრძნობლად ეხმარებოდა ზურგქარი. ეს მდგომარეობა მასპინძლებმა კარგად გამოიყენეს და წიკლაურმა ანგარიში გახსნა. შესვენების შემდეგ ინიციატივა მთლიანად ხელთ იგდო „ისანმა", მაგრამ მისი თავდამსხმელები უხეიროდ ურტყამდნენ კარში, რაც გუნდს წაგების ფასად დაუჯდა.

● „მერცხალი" (მახარაძე) — „დინამო" (ქუთაისი) 3:1. მსაჯი რ. მედვედევი (რუსთავი).

მასპინძლებს დასაწყისიდანვე სრული უპირატესობა ჰქონდათ, თუმცა ტაიმი მათ მხოლოდ მინიმალური ანგარიშით მოიგეს — 1:0. შესვენების შემდეგ თალაკვაძემ ზედიზედ 2 ბურთი გაიტანა მეტოქის კარში, ხოლო დინამოელებმა მხოლოდ მატჩის მიწურულში შეძლეს ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა.

● „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „კოლხეთი" (ცხაკაია) 1:0. მსაჯი ვ. შახნაზაროვი (თბილისი).

ამ ტურის წინ „კოლხეთი" სათავეში ედგა გათამაშების ცხრილს, სამტრედიელები კი მხოლოდ X ადგილზე იმყოფებოდნენ. ეტყობა, ლიდერს იოლი გამარჯვებისვარაუდი ჰქონდა და ამიტომ მან თამაში მეტისმეტად დინჯად და ულიმღამოდ დაიწყო. შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, ტაიმის ბოლოს კი, როცა სტუმრების მეკარემ მარინმა უხეში შეცდომა დაუშვა, მანჯგალაძემ ზუსტად გაგზავნა ბურთი მიზანში — 1:0.

ცხაკაიელები მხოლოდ მეორე ტაიმში გამოფხიზლდნენ. მართალია, საერთო უპირატესობა მათ ჰქონდათ, მაგრამ ზედმეტმა აჩქარებამ და უზუსტო დარტყმებმა „კოლხეთს" საშუალება არ მისცა თუნდაც გაეთანაბრებინა ანგარიში. „ლოკომოტივის" კარი ორჯერ იხსნა ძელმა გარდა ამისა, ძაგანიამ და აბუთიძემ დაკარგეს ბურთის გატანის ნაღდი შესაძლებლობანი.

● ახკ (თბილისი) — „გურია" (ლანჩხუთი) 1:0. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

ორივე გუნდი თამაშობდა დიდი მონდომებით, სწრაფი გადაცემებით და ნეკარეებს თავიდანვე მძიმე სამუშაო დააწვათ. მე-11 წუთზე თბილისელებმა შეძლეს მეტოქის კარის აღება. ლანჩხუთელებმა შესვენების შემდეგ მთელი თავიანთი ძალები გადაისროლეს წარმატების მისაღწევად, მაგრამ არმიელთა დაცვა და მეკარე მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ.

საუკეთესოდ იმსაჯა ლ. ჯოხაძემ.

● „მეშახტე" (ტყვარჩელი) — „ნარინჯი" (ბათუმი) 0:1. მსაჯი ა. მკუასელი (თბილისი).

● „კოლმეურნე" (წალენჯიხა)— ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:1. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

ანგარიში მე-18 წუთზე გახსნა წალენჯიხელთა თავდამსხმელმა ლეკვეიშვილმა, ხოლო ტაიმის ბოლოს წონასწორობა აღდგა — 1:1. „კოლმეურნეს" გამარჯვება მოუტანა ანიკეევის მიერ 77-ე წუთზე გატანილმა გოლმა.

### II ქვეჯგუფი

**I ზონა**

„ნადიკვარი" (თელავი) — „ერეთი" (ლაგოდეხი) 1:0, „კოლმეურნე" (მარნეული) — „არაგვი" (მცხეთა) 0:0, „მეტალურგი" (რუსთავი) — „არაგვი" (დუშეთი) 6:1, „დურუჯი" (ყვარელი) — „გარეჯი" (საგარეჯო) 0:1, „სამცხე" (აწყური) — „შირაქი" (წითელწყარო) 1:1, მუკუზნის საბჭოთა მეურნეობა — „თრიალეთი" (წალკა) 0:0.

**II ზონა**

„სულორი" (ვანი) — „სამგურალი" (წყალტუბო) 2:2, „კოლხეთი" (ხობი) — „ზემო ქართლი" (ხაშური) 2:2, „ჭიხურა" (საჩხერე) — „კისარტყელა" (თბილისი) 0:1, „კოლხიდმშენი" (ფოთი) — „მშენებელი" (ჭიათურა) 3:1, „საირმე" (მაიაკოვსკი) — „ლაითური" (მახარაძე) 0:0.

### მინდორზეა მომავალი

გრძელდება რესპუბლიკური გათამაშება ოსტატთა კოლექტივებთან არსებულ მოსამზადებელ ჯგუფებს შორის.

**I ქვეჯგუფი**

„ალაზანი" (გურჯაანი) — „დილა" (გორი) 1:0, „მეშახტე" (ტყიბული) — „შრომითი რეზერვები" (თბილისი) 0:1, „მეტალურგი" (რუსთავი) — ინტერნატი № 2 (გლდანი) 2:1, საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 0:1.

**II ქვეჯგუფი**

„ენგური" (ზუგდიდი) — განათლების განყოფილება (თბილისი) 0:2, „დინამო" (სოხუმი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 2:2, „კოლხიდა" (ფოთი) — „დინამო" (ბათუმი) 2:3, „დინამო" (თბილისი) — საფეხბურთო სკოლა (გაგრა) 4:0.

•

## გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 4 მაისისთვის

### I ჯგუფი

**I ზონა**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 7 | 6 | 0 | 1 | 11—2 | 12 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 7 | 5 | 1 | 1 | 15—6 | 11 |
| „განთიადი" (ბორჯომი) | 7 | 4 | 1 | 2 | 7—5 | 9 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 6 | 3 | 2 | 1 | 6—3 | 8 |
| „სინათლე" (თბილისი) | 6 | 2 | 3 | 1 | 6—4 | 7 |
| „მალაროელი" (ჭიათურა) | 7 | 2 | 3 | 2 | 6—5 | 7 |
| „ისანი" (თბილისი) | 7 | 2 | 1 | 4 | 4—4 | 5 |
| „ქართლი" (გორი) | 6 | 2 | 1 | 3 | 4—7 | 5 |
| „ირისტონი" (ცხინვალი) | 7 | 1 | 2 | 4 | 8—9 | 4 |
| „ოდიში" (ზუგდიდი) | 7 | 1 | 2 | 4 | 3—18 | 4 |
| „დინამო" I (თბილისი) | 4 | 1 | 0 | 3 | 11—9 | 2 |
| „დინამო" (სოხუმი) | 5 | 0 | 2 | 3 | 4—7 | 2 |

**II ზონა**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლმეურნე" (წალენჯიხა) | 6 | 5 | 0 | 1 | 11—5 | 10 |
| „კოლხეთი" (ცხაკაია) | 7 | 4 | 2 | 1 | 13—7 | 10 |
| „მუქურა" (ქობულეთი) | 7 | 3 | 4 | 0 | 6—4 | 10 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 7 | 4 | 1 | 2 | 13—7 | 9 |
| ახკ (თბილისი) | 6 | 2 | 4 | 0 | 8—5 | 8 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 7 | 2 | 3 | 2 | 9—4 | 7 |
| „ნარინჯი" (ბათუმი) | 7 | 2 | 3 | 2 | 8—10 | 7 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 7 | 2 | 3 | 2 | 3—9 | 7 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 7 | 2 | 1 | 4 | 11—10 | 5 |
| „მეშახტე" (ტყვარჩელი) | 7 | 1 | 3 | 3 | 3—7 | 5 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 7 | 0 | 3 | 4 | 7—12 | 3 |
| „დინამო" (ქუთაისი) | 7 | 0 | 1 | 6 | 3—15 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1966 წლის მშვიდობის ველორბოლა

## საინტერესო სიახლენი

მშვიდობის ველორბოლა, რომელიც 9-25 მაისს პრაღა — ვარშავა — ბერლინის მარშრუტით ჩატარდება, სხვადასხვა ქვეყნის სპორტის მოყვარულთა ყურადღების ცენტრშია. წინასწარი ცნობებით, შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 24 კოლექტივი — ინგლისის, ალჟირის, ბელგიის, ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, დანიის, იტალიის, კანადის, კუბის, მონღოლეთის, ჰოლანდიის, ნორვეგიის, პოლონეთის, რუმინეთის, ტუნისის, ფინეთის, საფრანგეთის, გფრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, შვეციის, შვეიცარიის, იუგოსლავიისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები. საორგანიზაციო კომიტეტს განაცხადი ყველაზე ადრე ინგლისელებმა წარუდგინეს, რისთვისაც მიიღეს სასტარტო ნომრები პირველიდან ექვსამდე. დანარჩენი ნომრები განაცხადების თარიღთა შესაბამისად განაწილდება.

წლევანდელი ველორბოლა მხოლოდ მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობით როდი გამოირჩევა. გერმანული გაზეთის „ბერლინერ ცაიტუნგის" აზრით, „1966 წლის მშვიდობის ველორბოლას გაუზვიადებლად შეიძლება განახლებული ვუწოდოთ". რაში მდგომარეობს ეს განახლება?

ჯერ ერთი, წლეულს პირველად ჩატარდება ინდივიდუალური რბოლა ორ ეტაპზე — III და XV. როგორც ჩანს, განსაკუთრებით მწვავე ბრძოლაა მოსალოდნელი ბოლო — XV ეტაპზე. შტრაუსბერგ — ბერლინის 44-კილომეტრიან მონაკვეთზე ველოსიპედისტები პირდაპირ თავს მოიკლავენ.

საინტერესო სიახლედ უნდა მივიჩნიოთ გამოვარდნით რკალური რბოლის შემოღებაც. იგი გაიმართება XII ეტაპზე ქ. ვისმარში (გდრ). ველოსიპედისტები რკალს 30-ჯერ „შემოხაზავენ", რაც საერთო ჯამში 93 კილომეტრს შეადგენს. სპორტსმენი, რომელიც ლიდერთა ჯგუფს 1 წრით ჩამორჩება, რბოლას გამოეთიშება. დროს კი ეტაპზე ნაჩვენები საშუალო სისწრაფიდან გამოიანგარიშებენ. გზატკეცილის გასწვრივ ჩამწკრივებული გულშემატკივრები ლიდერს წინათ ყვითელი, ხოლო I ადგილზე მყოფ გუნდს — ცისფერი მაისურებით განსაზღვრავდნენ. შეჯიბრების ტრასაზე ამჯერად იისფერი მაისურიც გამოჩნდება. იგი ყველაზე აქტიურ მრბოლელს გადაეცემა.

შეცვლილია ფინიშზე ქულათა დარიცხვის ძველი მეთოდიც. ბოლო წლებში, როგორც წესი, ყოველი ეტაპი სტადიონზე მთავრდებოდა. მაგრამ განა ყველა ველოსიპედისტი ერთნაირი ოსტატობით ფლობს სტადიონის წრიდიან ბილიკზე რბოლის ტექნიკას? ბევრნი სწორედ აქ კარგავდნენ ძვირფას წუთებს. ახალი მეთოდით დრო აღინუსხება სტადიონზე შემოსვლის წინ, ბრძოლა ეტაპზე გამარჯვებისთვის კი სტადიონზე დასრულდება.

და კიდევ „მთათა მეფეზე". ველოსიპედისტები ერთდროულად იბრძოლებენ ამ სახელისთვის და 4 სამთო პრემიისთვის. ქულებს მიიღებს 5 პირველი სპორტსმენი შემდეგი სისტემით: 10—7—5—3—1. შეჯიბრებაში გამარჯვებულს პრემიის სახით დაექვითება 1 წუთი, მეორე პრიზიორს კი — 30 წამი. ყველა პრემია „მთათა მეფის" პრიზზე ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე გათამაშდება.

ბოლო სიახლე ველორბოლის გეოგრაფიის შესამჩნევ ზრდაში მდგომარეობს. შეჯიბრების ტრასის რუკაზე რამდენიმე ახალი ქალაქი გამოჩნდა: ტანვალდი, ხარახოვი (ჩეხოსლოვაკია), ვისმარი, შვერინი, პოტსდამი და შტრაუსბერგი (გდრ).

„ერთი სიტყვით, მშვიდობის ველორბოლის გულშემატკივრებს წლეულს ცოტა სიურპრიზი როდი ელით", — ასკვნის ჩეხოსლოვაკიის სააგენტო პრაღოპრესი.

მტრები რაღას შვრებიან? ფაქტები ცხადყოფენ, რომ მშვიდობის ველორბოლას სულ უფრო მტრული თვალით უყურებენ სპორტში „ცივი ომის" მომხრენი.

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ, დასავლეთგერმანული შპორტბუნდის თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა ე. წ. „მშვიდობის ანტიველორბოლას". ეს იყო პროფესიონალთა შეჯიბრება, რომელიც დასავლეთ გერმანიაში საგანგებოდ 8 მაისს იწყებოდა. ორგანიზატორების ჩანაფიქრით, ველოსპორტის მრავალრიცხოვან გულშემატკივართა ყურადღება მშვიდობის ველორბოლიდან მასზე უნდა გადასულიყო. შეჯიბრებას აფინანსებდა ხილის წყლების მსხვილი დასავლეთგერმანული ფირმა „აფრიკოლა". დასავლეთ გერმანიის პრესის გულმოდგინე მეცადინეობის მიუხედავად, ეს ჩანაფიქრი სასტიკად ჩაფლავდა. „აფრიკოლის" რბოლა არავის აინტერესებდა, მშვიდობის ველორბოლას კი მსოფლიოს ყველა სპორტული გაზეთი აშუქებდა. შპორტბუნდის პროვოკატორებმა „აფრიკოლის" ტური ახლა სხვა შეჯიბრებით — „კიოლნის გარშემო ველორბოლით" შეცვალეს. ახალგამომცხვარი ღონისძიება თვით შპორტბუნდის პრეზიდენტმა ვ. დაუმემ აკურთხა. ამასთან, მან შეჯიბრების ორგანიზატორებს აღუთქვა, რომ 8 მაისს პირადად დაესწრებოდა ველორბოლის საზეიმო გახსნას. მაგრამ გფრ-ის პრესას ტრაბახი გამოუვიდა განცხადება, რომ კიოლნს ევროპისა და მსოფლიოს ყველა გამოჩენილი „ვარსკვლავი" ეწვევაო.

ერთი კვირაც კი არ იყო გასული, რომ დასავლეთ გერმანიის გაზეთების ამ ავტორიტეტულ განცხადებას ვეებერთელა სკანდალი მოჰყვა: „ვარსკვლავებმა" ფულის გულისთვის ერთმანეთი „დაკბინეს".

განსაკუთრებით განრისხებული იყო ველოსიპედისტი კ. კუნდე, რომელმაც შარშანდელ „ტურ დე ფრანსში" დასავლეთ გერმანიის პროფესიონალთა შორის საუკეთესო შედეგი აჩვენა და რომელსაც „კიოლნის გარშემო ველორბოლაში" მონაწილეობისთვის ჰონორარის სახით მხოლოდ 300 მარკას დაპირდნენ. კუნდეს აღშფოთებას ისიც აძლიერებდა, რომ მსოფლიო ჩემპიონს რ. ალტიგს 2.500 მარკა აღუთქვეს, ხოლო მის მეგობარს პ. პოსტს — 1.500.

„უარს ვამბობ ბუტერბროდისთვის გამართულ ამ ბინძურ რბოლაზე", — განუცხადა ჟურნალისტებს ველოსიპედისტმა. კუნდეს მხარი დაუჭირეს ესპანეთის 1965 წლის ველორბოლაში გამარჯვებულმა რ. ვოლფზოლმა და გფრ-ის ექს-ჩემპიონმა დ. პუშელმა. მათ „ფერაინ კიოლნერ შტრასენფარერის" კლუბს, რომელიც რბოლას უშუალოდ ხელმძღვანელობს, ბნელ მაქინაციებში დასდეს ბრალი.

საერთოდ, სკანდალმა ისეთ ფორმებს მიაღწია, რომ მას ვერც დასავლეთ გერმანიის პრესამ აუარა გვერდი. „საფიქრებელია, რომ „კიოლნის გარშემო ველორბოლა" ჩანასახშივე ჩაფლავდება", — სინანულით წერს გაზეთი „შპორტ-დეპეშე".

რა არის გასაკვირი? ბონის პოლიტიკოსები ცეცხლს აფრქვევენ, „მშვიდობის ველორბოლა" კი ბრწყინვალედ მიიკვლევს გზას ევროპაში.

ა. ბურკოვი.



სურათზე: ქ. ვიჩენცას „ლანეროსის" მეკარე მ. რეჯინატომ ბურთის მაგიერ მილანის „ინტერნაციონალეს" ცენტრფორვარდის ს. მაცოლას თავი დაიჭირა. ეს მოხდა მილანის „სან-სიროს" მინდორზე. გაიმარჯვა „ინტერმა" — 3:2.

● **მილანი.** „მილანის" პრეზიდენტმა ლ. კარარომ განაცხადა, რომ ამ გუნდის მწვრთნელი, შვედი ლიდჰოლმი დაკისრებულ მოვალეობას თავს ვერ ართმევს და ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ისევ უხელმძღვანელებს ჭაბუკ ფეხბურთელებს, რომლებთანაც ადრე მუშაობდა. ლიდჰოლმის ნაცვლად „მილანის" პრეზიდენტმა მწვრთნელის თანამდებობის კანდიდატებად მიიჩნია მ. მუნოზი (რომელიც ახლა მადრიდის „რეალს" უდგას სათავეში), ხოლო მისი უარის შემთხვევაში — ცნობილი ურუგვაელი ფეხბურთელი სკიაფინო.

● **მილანი.** „ინტერნაციონალემ" და „მანჩესტერ იუნაიტედმა", რომლებმაც მოულოდნელი მარცხი იწვნიეს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ნახევარფინალებში, გადაწყვიტეს ამხანაგური მატჩი გამართონ ერთმანეთს შორის. „ეს იქნება ჩემპიონთა თასის ნამდვილი ფინალი, — განაცხადა „ინტერნაციონალეს" მწვრთნელმა ე. ერერამ, — ვინაიდან ორივე გუნდმა შემთხვევით წააგო შედარებით სუსტ კოლექტივებთან. დაე, ამხანაგურმა მატჩმა მაინც გადაწყვიტოს, რომელია უძლიერესი კლუბი ევროპაში".

## ახალი ამბები

## ფეხბურთი

## კონტრაქტი გაგრძელდა

ცნობილი იტალიური საფეხბურთო კლუბის „ინტერნაციონალეს" დირექტორატმა განაახლა კონტრაქტი გუნდის მწვრთნელ ე. ერერასთან. კლუბის პრეზიდენტმა ა. მორატიმ მწვრთნელს კონტრაქტის განახლების საშუალება მისცა სწორედ მაშინ, როცა „ინტერნაციონალე" გამოეთიშა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისთვის ბრძოლას.

ახლა დიდი ინტერესით მოელიან ამ გათამაშების ე. წ. „მორალურ ფინალს", სადაც ერთმანეთს შეხვდებიან „ინტერნაციონალე" და „მანჩესტერ იუნაიტედი". ფავორიტთა მატჩი 11 მაისს უნდა გაიმართოს მილანში.

## სრული ქაოსი არგენტინაში

ბუენოს-აირესი. როგორც ცნობილია, არგენტინის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდის მწვრთნელი ო. ზუბელდიო გადადგა თავისი პოსტიდან. მის ნაცვლად ეროვნულ ნაკრებს მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისთვის მოამზადებს „სან ლორენცოს" კლუბის სპორტული დირექტორი ჟუან კარლოს ლორენცო, რომელიც შარშან ცნობილ იტალიურ გუნდს „რომას" წვრთნიდა.

ახალ მწვრთნელს ძნელი საკითხების გადაჭრა მოუწევს. როგორც უცხოეთის პრესა წერს, არგენტინის ნაკრებში ახლა სრული ქაოსი სუფევს. საქმეს ართულებს ისიც, რომ ამ ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელი ალბრეხტი სერიოზულად დაშავდა და მისი გამოჯანმრთელება ჭიანურდება.

## პოლონელები მექსიკაში

1968 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი მექსიკა თავისი მძლეოსნების წვრთნას პოლონელ სპეციალისტებს ანდობს.

მექსიკისა და პოლონეთის ოლიმპიური კომიტეტების შეთანხმების საფუძველზე, მექსიკელ მძლეოსნებს ოლიმპიური თამაშებისთვის 7 პოლონელი მწვრთნელი მოამზადებს.

გაზეთ „ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა 9 მაისს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.



11 მაისს

თბილისის მასწავლებელთა სახლის სხდომათა დარბაზში (ფურცელაძის ქ. № 3) გაიმართება საქართველოს „კოლმეურნის" IV რესპუბლიკური კონფერენცია.

დასაწყისი 12 საათზე.

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს იქვე, 10 საათიდან.

„კოლმეურნის" ცენტრალური საბჭო.

თბილისი სპორტული ბაზრობა

რეგბი. „ბურევესტნიკის" სტადიონი. 7 მაისი. საქალაქთაშორისო მატჩი. „დინამო" (მოსკოვის თასის მფლობელი) — თბილისის „ლოკომოტივი" (ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი). დასაწყისი 17 ს.

## საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს კათედრების გამგეთა თანამდებობაზე

1. ჰიდაოგბის, კრივისა და ძალოსნობის კათედრის გამგე — დოცენტი — 1 ერთეული.
2. ფეხბურთის, ხელბურთისა და ჩოგბურთის კათედრის გამგე — დოცენტი ან უფროსი მასწავლებელი — 1 ერთეული.
3. ცურვისა და საწყლოსნო სპორტის სახეობათა კათედრის გამგე — დოცენტი ან უფროსი მასწავლებელი — 1 ერთეული.

კონკურსის ვადაა ა. წ. 6 ივნისამდე.

განცხადება სათანადო საბუთებით მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში. მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, № 49.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე 9 საათიდან 16 საათამდე.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორატი.

## თბილისის სპორტის სასახლეში

გდრ-ის, უნგრეთის, პოლონეთისა და სსრ კავშირის ტანმოვარჯიშე ქალთა საერთაშორისო შეჯიბრება.

თქვენ ნახავთ ოლიმპიური თამაშების პრიზიორს მაკრაის (უნგრეთი), ევროპის ჩემპიონს შტარკეს (გდრ), სსრ კავშირის აბსოლუტურ ჩემპიონს ნ. კუჩინსკაიას, სახელგანთქმულ ტანმოვარჯიშეებს ლ. ლატინინას, პ. ასტახოვას, ა. ჯანუყაშვილს და სხვ.

ИНДЕКС 66148 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 01561